

572 1
1955

საქართველო
საბავშვო ჟურნალი



დედა

„დედა“ ბავშვებისათვის
დასრულებულია
და მისი კონტენტის, სრული
სამუშაოს განხორციელება

№ 5

საბავშვო ჟურნალი
საქართველოს საბავშვო ჟურნალი

8 ივნისი
1955

ჩემი გულიც გაახარე

ი. გრიშაშვილი

სსვგ რბ გითხრა, ჩემო კარგო,
ჯერ ნორჩი ხარ, ჰაწაწინა,
გთხოვ, სამშობლოს სიყვარული
მიგიძღოდეს მუდამ წინა.

არასოდეს დაივიწყო
საბჭოეთის დიდი მხარე,
შრომითა და კარგი სწავლით
ჩემი გულიც გაახარე.





პაპი ბელიაშვილი

ნახატები პლ. გიგოლაშვილისა

მოგონება

დღეს პაპა ესტატეს პიონერები ეწვივნენ სტუმრად. ეს ალბათ მისი შვილი-შვილის გურამის თაოსნობით მოეწყო. როდესაც ზარი დარეკეს და თვითონ პაპა ესტატე გაემართა კარის გასაღებად, გურამმა დაასწრო, გაიქცა და სტუმრებს შეეგება.

— მოდი, მოდი! — ისე დაბეჯითებით მიმართა მან ამხანაგებს, რომ ცხადი იყო, ყველაფერი წინასწარ იცოდა: ან როდის უნდა მოსულიყვნენ, ან რამდენი იქნებოდნენ.

პაპა ესტატემ თავის ოთახში დააპირა წასვლა, რადგან სულაც არ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ეს პატარები მისი, თითქმის ოთხმოც წელს მიღწეული მოხუცის, სტუმრები იქნებოდნენ.

მაგრამ გურამმა შეაჩერა და უთხრა: — პაპა, ეს პიონერები შენთან არიან სტუმრად.

— ჩემთან? — გაოცდა მოხუცი. — ჰო, მაგათ სურთ უამბო, გორ ილდესასწაულეთ პიონერი მაისი სულ პირველად თბილისში,



6653.

პაპას საამო ღიმილმა გადაურბინა სა-
ხეზე და გურამს ფუსფუსით უთხრა:

— ძალიან კარგი, მერე რაღას უდგე-
ხარ, სთხოვე ყველას შემოვიდნენ ოთახ-
ში. მოდი, ჯერ ერთმანეთი გავი-
ცნოთ. გამარჯობათ, ჩვენი მომავლებო,
გამარჯობათ.

პაპამ საითაოდ ჩამოართვა ხელი ყვე-
ლას და ოთახში მიიწვია. პიონერები
მორიდებით შევიდნენ და, სანამ პაპა ეს-

დავთ. ეს არის ჩვენი მშრომელების ბრძო-
ლით მოპოვებული თავისუფლების ნიშა-
ნი. იცით, საერთოდ რას ნიშნავს დროშა,
ან რისთვის გამოიგონეს იგი ადამიანებ-
მა?

პიონერებმა ერთმანეთს გაკვირვებით
გადახედეს. ისინი არასოდეს არ დაფიქ-
რებულან ამაზე.

— რისთვის, პაპა ესტატე?

— ძველად, შვილებო, როდესაც ჯა-

რი საომარდ მიდიოდა, ყო-
ველ რაზმს თავისი მეთაური
ჰყავდა და მტერთან ბრძო-
ლის დროს ამ მეთაურს უნ-
და მიჰყოლოდა. ბრძოლის
დროს ჯარი ერთმანეთში
რომ არ არეულიყო, ყო-
ველ რაზმს განსხვავებული
ფერისა და ზომის დრო-
შა ჰქონდა: ზოგს ყვითელი,
ზოგს ცისფერი, ლურჯი ან
მწვანე, ზოგს ოთხკუთხა.
სვანებს ახლაც კი შე-
მორჩათ ძველი, ლომის
მსგავსად შეკერილი დრო-
შა, რომელიც ქარში იბე-
რება და ლომისმაგვარი
ცხოველის სახეს ღებუ-
ლობს. ჰოდა, ყოველ მეთა-
ურს საკუთარი დროშა
ჰქონდა, რომელიც საგან-
გებო მედროშეებს მალდა



ტატე თვითონ არ დაჯდა, ფეხზე იდ-
გნენ. შემდეგ ყველანი ჩამოსხდნენ სკა-
მებზე.

— აი, შვილებო, — თქვა მოხუცმა. — მაგ
თქვენმა წითელმა ყელსახვევმა დიდი ამ-
ბები მომაგონა.

— გვიამბეთ, პაპა ესტატე, გვიამბეთ, —
მიაძახეს ყოველი მხრიდან პიონერებმა.

— თქვენ ახლა არ შეგიძლიათ ისე
ძლიერ განიცადოთ ის, რასაც მე განვი-
ცდი წითელი აღმების დანახვისას; ჩვენს
დემონსტრაციებზე, დღესასწაულების
დროს ყველგან წითელ დროშებს ხე-

ამართული ეჭირათ, რომ ყოველ მებ-
რძოლს თავისი დროშა ადვილად გაე-
რჩია, სცოდნოდა, სად იყო მისი მე-
თაური, მასთან ახლო ყოფილიყო.
ჰოდა, დროშა გზის მაჩვენებელი იყო.
როდესაც მეფის რეჟიმის დროს მუშათა
მოძრაობა ჩისახა და პროლეტარებმა
გადაწყვიტეს ბრძოლა გამოეცხადებინათ
ძველი წესწყობილების წინააღმდეგ, მათ
თავისი ბრძოლის სიმბოლოდ წითელი
ფერის დროშა აირჩიეს, რადგან იცო-
დნენ, რომ თავისუფლებას მხოლოდ

საკუთარი სისხლის დაღვრით თუ მოიპოვებდნენ.

პაპა ესტატე ცოტა ხანს შედგა, პიონერები კი სულგანაბული უსმენდნენ.

— მაშინ, — განაგრძო მოხუცმა, — შეგირდად ვმუშაობდი რკინიგზის სახელოსნოებში; მუშებში ხმა გავარდა: პირველი მაისი მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დღედ არის გამოცხადებული და ჩვენც უნდა მოვაწყოთ მაისობაო. მეფის მთავრობა სასტიკად დევნიდა მუშათა დემონსტრაციებს და ამიტომ

გადაწყდა, ასეთი მაისობა ფარულად დამისიკ ქალაქგარეთ მოგვეწყო. გვეშინოდა, რომ მეფის ჯაშუშებს არ გაეგოთ და პოლიცია თავს არ დაგვსხმოდა.

ქალაქგარეთ მიყრუებულ ადგილას დაიწყო შეკრება. მეც წავედი, ცხადია. გარეშემო გუშაგები დავაყენეთ, რომ არავინ წამოგვპაროდა. ბევრნი არ ვიყავით, სულ სამოცდაათ კაცამდე მოგროვდა, მაგრამ მაშინ ესეც დიდი საქმე იყო.

სანამ შეკრებაზე წავიდოდი, მთელი



დღე მოსვენება დაკარგული მქონდა. ჩემს სიცოცხლეში პირველად მივიღიდი ასეთ აკრძალულ დღესასწაულზე.

მაშინ ნაძალადევის უბანი ახალდასახლებული იყო: პატარა ქონები, პატარა ეზოები და ვიწრო ქუჩები.

მოსაღამოვდა თუ არა, ამხანაგთან ერთად გავუდექი გზას.

გავცდი თქალაქს, გადავიარეთ გორაკი და დანიშნულ ადგილას თითქმის პირველი მივედი. ვხედავ, საითთაოდ მოდიან მუშები, ზოგი იქიდან, ზოგი აქედან. სხვადასხვა გზით მოდიოდნენ, რომ პოლიციას ეჭვი არ აედო. ყოველი ახალი თანამოაზრის გამოჩენა ჩემს უსახლვრო სიხარულს იწვევდა.

უკვე ბინდდებოდა, როდესაც ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს: დროა დავიწყეთო.

მომალღებულ ადგილზე შედგა ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ახალგაზრდა. მას

პიჯაკი და ლურჯი სატინის ხალათი ეცვა.

— ამხანაგებო, —

დაიწყა მან, — პირველი მაისი, გაზაფხულის ეს ყველაზე მომხიბლავი დღე, პროლეტარიატმა თავის დღესასწაულად აირჩია იმიტომ, რომ იგი მშრომელთათვის ზამთრის საბოლოო დასასრულს მოასწავებს. დადგა დრო, როდესაც ყოველი ეროვნების მშრომელმა უნდა მოჰკიდოს ხელი თავისი განათვისუფლების საქმეს...




ყოველი მისი სიტყვა ქრუანტელს მეგვრიდა.

როგორ ამიძგერდა მაშინ გული სიხარულით, როდესაც ერთმა მუშამ უბიდან წითელი დროშა ამოიღო, საგანგებოდ წამოღებულ ჯოხზე დაამაგრა და მალლა ამართა. ვიდეკით ტრიალ მინდორზე, ამ მიყრუებულ ადგილას, ეს სამოცდაათი მუშა და ფრიალებდა ჩვენს თავზე წითელი, აი, — ყელსახვევზე ხელით მიუთითა პაპა ესტატემ, — სწორედ ასეთი ფერის დროშა. რის პოლიცია, რის ქანდარმერია!.. მაშინ რომ ეთქვათ, ამ დროშას ცეცხლშია ცი შეეყვებოდით. კიდევ დაიძახეს აქა-იქ: წავიდეთ და ამ წითელი დროშით ქალაქში გავიაროთო. მაშინ ჩვენ იმდენად ძლიერები არ ვიყავით და უიარაღო ხალხს პოლიცია ადვილად მოგვერეოდა. ეს დროშა, წითელი დროშა, აღელვებდა ჩვენს გულს და სიამაყის გრძნობას გვინერგავდა სულში. როგორც ხედავთ, მრავალი ბრძოლის გადატანის შემდეგ მართლაც დავამხეთ კაპიტალისტური წყობილება ჩვენს ქვეყანაში.

პაპა ესტატე კვლავ შედგა, თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწურა და ღიმილით დასძინა:

— აი, ის ჩვენი პირველი წითელი დროშა მომაგონათქვენმა პიონერულმა ყელსახვევმა და ხელახლა განმაცდევინა ის უსახლვრო სიხარული, რომელიც მე ჩემს ახალგაზრდობაში განვიცადე.



ილია სიხარულიძე

ნახატი პლ. ბანძუაძისა

ჩვენი ექიმი მარო

სულ ჩვენთან არის, მუდამ,
ჩვენი ექიმი მარო;
როცა ჯანმრთელებს გვხვდავს,
სულით და გულით ხარობს.

თავზე ხელს გადაგვისვამს,
მოგვიალერსებს ტუბილად;
გავვხდის ხალათს და პერანგს,
მკერდზე დაგვადებს მილაკს,

გვეტყვის: „ა-ა-ა! — თქვითო,
უნდა ვნახოო ხახა“,
კარგად ჩაგვხვდავს ყელში,
ყურსაც და ცხვირსაც ნახავს;

გაიგებს, ვის რა სტკივა,
ვის რა აწუხებს, უჭირს,
ვის როგორი აქვს გული,
ვის როგორი აქვს კუჭი.

მარო ექიმმა იცის,
ვის როგორი აქვს მადა,
ვის როგორ სძინავს და ვინ
რამდენი მოიმატა.

დღედაღამ ჩვენზე ზრუნავს
ჩვენი ექიმი მარო;
როცა ჯანმრთელებს გვხვდავს,
სულით და გულით ხარობს.

არქტიკა



26. ჰაერული ძალა

ჩრდილოეთ პოლუსის მხარე არქტიკის სახელწოდებით არის ცნობილი. არქტიკის უზარმაზარი ფართობი უკავია. ჩრდილო ყონწლოვანი ოკეანე პოლუსის გარშემო დაფარულია რამდენიმე კილომეტრის სისქის საყუნეობრივი ყინულით, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ დნება ზაფხულობით, ზამთარში კი კვლავ იფარება სქელი ყინულით. ამიტომ ჩრდილოეთ ზღვებში შიოსკელიასთვის მძლავრ ყინულმპრედი გვიგებს იყენებენ.

არქტიკაში მზე მარტში ამოდის და გვიჩი თვის განმავლობაში არ ჩადის. ამას პოლარული დღე ეწოდება. ამ დროს ბუნება ცოცხლდება, ალვა-ალვა თავს იჩენს მცენარეულობა, სელაქები ჯგუფ-ჯგუფად გრავდებიან, საწაბირო კლდეებს ნილსივით გვცემა უამრავი ფრთოსანი. ისინი აქ ზაფხულობით მოფრინდებიან ხოლმე და მათი ყვირილ-ხვილი არფარეს აყრუებს. ფრინველთა თავმოყრის

ადგილებს „ფრინველთა ბაზარს“ უწოდებენ.

აი, მოახლოვდა ზამთრის სუსხი და უკვე სექტემბრიდან დგება ხანგრძლივი პოლარული ღამე, რომელიც აგრეთვე გვეს თვის გრძელდება. დღე-ღამის უკუნეთ სიბინდელს ხადახან მთეარის შუკი ან ვარსკვლავების ციმკიბი არღვევს, ხან კი ბნელ ცაზე „ჩრდილოეთის ცილი“ გამოჩნდება და მთელი არემარე საოცარი მომზიბლავი ფერებით განათდება. ისეთი შთაბეჭდილებაა ხოლმე, თითქოს თვალწინდნ ზეცაზე წარმტაკი ფერადი სიკვების გამჭვირვალე ფარდა ირხვეა. მუდმივი ყინულების სახეფო არქტიკა მდიდარია ზღვის ნადირით, ბეჭვიანი ცხოველით, ფრინველებით.

პოლარეთის მუდროვებს ხშირად არღვევს „ჩრდილოეთის ბატონი“—თეთრი დთვი, რომელიც თავის ბეღლებთან ერთად ვსტურდება ხოლმე პოლარელებებს და ცდლობს მათი სანოვავის ნარჩენებით პირი ჩაიფრეფლოს.

არქტიკა სამხტრესია იმიტაკ, რომ ეს არის ამინდის საშარწულია. აქ იკმნება ამინდი. ბჰედან მოვლინება ზეცის-წელიც ცოვი პავერი. თუ კარგად შევისწავლით არქტიკის ბუნებას, შეგვიძლია წინასწარ გავიგოთ როგორი ამინდი



სახატები 26. მანქანების

დადგება. ამინდის ცოდნის გარეშე კი თითქმის შეუძლებელია ნაოსნობა ჩრდილოეთის ზღვებში.

არქტიკის ყოველმხრივ შესწავლას უღდიესი მენცერული მნიშვნელობა აქვს მფრინავებისათვის, მებღაურებისათვის, სახალხო მებურნოებისათვის. ამიტომია, რომ აღამაინ დიდი ხანია შეუდგა ამ თოვლ-ყინულების სახეფოს შესწავლას, მისი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებას. მეცნიერებს აინტერესებთ, რა ცხოველი და თევზი ბინადრობს და რითი იცვებებიან ისინი, რა სიღრმისაა პოლუსთან ზღვა და როგორი ფსკერი აქვს, რამელი ქარები ქრიან, როგორი ღრუბლები მომოლიან იქაურ ცაზე.

მეცნიერებას ადრე შეაშინებს, რომ არქტიკაში არსებობს ყინულების შეუძნელები მოძრაობა, ანუ დრეიფი*. სწორედ ეს დრეიფი ათავისუფლებს არქტიკის ყინულებისაგან, რომლებიც ატლანტის ოკეანეში გამოლიან და მოძრაობენ ქარისა და ზღვის დინების ზეგავლენით.

ერთ-ერთ ასეთ ყინულზე ჩამოსდნენ ამ ერაი წლის წინათ—გასული წლის აპრილში—საბჰოთა მკვლევარები. უზამზამარი თეთიფრინავები, რომ-


ლებზედაც თეთრი დთვი ესატა, პოლუსის მიდამოებში მფრინდნენ და მალდრედანვე შეარჩიეს ყინულის ფართო კვლი დასაშვებად. შემდეგ ჩამოსტეს მგზავრებს, ვანდოტორების მანქანები, საწერი მასალა, მარხილში შესამბეფი ძაღლები, მრავალგვარი ხელსაწყოები.

ამ უკაცური ყინვის სახელობელოში განაღდა ცხოვრება; თითქოს ზღამარში ხდებოა, ისე უცხად ადგეს პატარა ქალაკი—საცხოვრებელი ბინები, სურსათის საწყოებები, ველსადგურა, კულბი, ბაბილონი, აბანო. ყინულის ნიადაგში ჩაარკვეს ტელეგრაფის ბოძები და მძლამო ელექტროშუკით გაჩაღეს, მძლავარი პროექტორებით გააშუქეს.

თოვლსაწინელი მანქანები აფროდრომებს სწუნდნენ, ტრაქტორები ტვირთის ეხილდობოდნენ იქით-აქით. ამუშავდა რაი დროსადღაცა—გადასცეს დაიფრეობლიბათ ცნობები დიდ მწიქს, და პოლუსმსკი თითქმის სულ ახლოს მოიწია საბჰოთა კვერის



* დრეიფი — ნიშნავს დრეიფს, სდის.



დედაქალაქ მოსკოვთან. თავისუფალი დროს პოლარელები რადიოთი საკადრებს რაკეტაზე გადამსვნიან. რაკეტაზე გადამსვნიან და რადიოთი საკადრებს რაკეტაზე გადამსვნიან. რაკეტაზე გადამსვნიან.

მკვლევარები მუდმივ მეცნიერულ დაკვირვებებს აწარმოებდნენ: ზოგი ცაში უშვებდა თვითმოქმედი რადიოსადგურით მოწყობილ საჰაერო ბუშტებს, რომლითაც იტყობდა ჰაერის მოძრაობას. ზოგი ყინულის ნიადაგს ბურღავდა, რომ ზღვის წყალს ჩასწვდენოდა გამოსაკვლევად.

მეტად მკაცრია პოლარული ბუნება. დიდი ბრძოლა უხდება მასთან ადამიანს. მოდრეიფე სადგურის მამაცი ბინადარნი სულ უნდა ფხიზლობდნენ. ზაფხულში მზემ რომ დააჰირო, ყინულის ზედაპირი ისე გადნა, რომ ტბები შეუდგა მათ კარვებს და ნავეებით უხდებოდათ მიმოსვლა. ზამთარში კი ქარბუქი თოვლით ფარავდა მათ სადგურებს და გადახვეტა უხდებოდათ, ხან ძლიერი ქარებისაგან გაბზარულ ყინულზე ხიდებს გასდებდნენ და ადგილს ისე გადაინაცვლებდნენ ხოლმე.

მოდრეიფე სადგურების მოწყობისათვის დიდი შრომა გასწიეს მამაკმა საბჭოთა მფრინავებმა. თვითმფრინავებით იქნა მიტანილი პოლუსზე ყველა საჭირო მოწყობილობა, რომლებიც ჩვენს პოლარელებს უადვილებდა შრომას. ასეთი პირობები მსოფლიოს არც ერთ სხვა პოლარულ სადგურს არასოდეს გააჩნდა.

მარიულ ხაშთან

მ მ რ ც ხ ა დ ო

ნახტი ზ. ლეჟანსკი



ისევ ჩემთან მოფრინდი, შენი ბუდე აქ არის, მოდი, მითხარ, თუ როგორ გაატარე ზამთარი.



ერთს გთხოვ, არ გამაწბილო, აბა მეტი რა გთხოვე; დედოფალას ქუდს ვკერავ, მაკრატელი მათხოვე!

ს ზ ყ უ ი ა ნ

მითხრეს:

— თუკი შენსას არ დაიშლი და თუ-
თიყუშვივით ერთსა და იმავეს დაიფინებ,
„სტყუით, სტყუითო“, ჩვენ ამ ამბავს ქვე-
ყანას მოვდებთ. დღე თქვან, ჩვენ ვართ
მართალი თუ შენი!

განა თვითონ მაგათ არ დაახატვინეს
უფროსკლასელ თემიმურაზს ჩემი თავი
კედლის გაზეთში? ისეთი გაწეწილი თმე-
ბით, რომ ყურები არ მიჩანდა, პირიც
შაშვის ბარტყივით დამაღებინეს და ხე-
ზეც შემსვეს, თითქოს ჩიტის ბუდეებს
ვეძებ.

ეს შარშან იყო.

წელს მაგათ ჯობრზე არც ერთი დედა
ჩიტი არ ამიტირებია.

არდადეგების დროს საკითხავი წიგნები
სოფლის ბიბლიოთეკიდან გამოგვკონდა.
ერთი ლამაზდიანი წიგნის წაკითხვის ვა-
და ისე გამეპარა, წაკითხვა ვერ მოვას-
წარი. ხან ვთამაშობდი, ხან ხის წვერზე
ხილს ვარჩევდი, ან ქრიკინას ტოტიდან
ტოტზე დავსდევდი.

წიგნი თავის დროზე დაუბრუნე ბიბ-
ლიოთეკას. გზაში ნანი და ოთარი შემ-
ხდნენ და პირველად ეს მკითხეს:

— წაკითხე?

— ჰო.—უგულოდ მივუგე მე.

— მოგეწონა?


— კი, რა უშავს.

— მაინც ყველაზე მეტად რა მოგე-
წონა?

— მე ყველა ერთნაირად მომეწონა!—
ვუთხარი გაჯავრებულმა და სწრაფად
გავეცალე.

— რომ არ წაგიკითხავს, რა მოგეწონე-
ბოლა!—მომამახეს და ჩურჩულ-ჩურჩუ-
ლით წავიდნენ.

რას მიხამთ,—გავივლე გუნებაში,—
ახლა მაინც არ დავდივარ სკოლაში, გა-
ზეთში რომ დამხატოთ!



მაგრამ ვნახოთ, მეორე დღეს მთელი
ჩვენი ქუჩის ბავშვები მომძახიან:

ზარმაცი ხარ, უქნარა,
არ გწყინს კიცხვა-მუქარა.
დროა გოგოს შენოდნის
ცოტა მაინც რცხვენოლენს.

ყოველთვის გამონახავენ რალაც ისეთს,
როგორმე დამცინონ. ვიცი, ძალიან კარ-
გად ვიცი, ჩემი ჯავრი სჭირთ, მაგრამ,
მოიცათ, მეც თუ ოინი არ ვუყუო...

უცებ ბიბლიოთეკისაკენ გავქანდი.

აჩქარებულად ვსუნთქავდი, როცა ბიბ-
ლიოთეკის კარებში შევჩერდი. ახლა-
და მომაგონდა, რომ შევიდე, დეიდა ქე-
თინოს რა ვუთხრა?! წიგნი ხომ გუშინ
მიუტანე. იმას კი არ დაავიწყდება,
თუ როდის რომელი წიგნი წავიღეთ
და როდის უკანვე დავაბრუნეთ.

არა, სჯობს ისევ სახლში დავბრუნდე. ალბათ, ბავშვები დაიშალნენ კიდევ და ჰქვს ხვალამდე ეზოდან არ გამოვალ. ხვალ კი რასმე მოვიფიქრებ.

თავჩაღუნული და ჩაფიქრებული ეუხს-ლოვდებოდი ეზოს, რომ გზაზე შეგრო-კილმა ბავშვებმა მომადახხეს:

წიგნს არა შლი, გეშინია,
ფურცლები არ ეტკინოს.
რად აწუხებ, არ გრცხვენთან,
ჩვენს დეიდა ქეთინოს?!

აღარ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავ და ისევ უკან გავბრუნდი. ცრემლებს ძლივს ვიკავებდი, როცა კვლავ ბიბლიოთეკასთან გაეჩნდი.

რა ვუთხრა? რა მიზეზით გამოვართვა ისევ ის წიგნი?

სჯობია ეზოს მოეუარო და ისევ სახლში დავბრუნდე. მაგრამ ამ ღროს თვითონ დეიდა ქეთომ დამიძახა:

— მანანა! მოდი, გენაცვალე.

მეტე რა გზა იყო, უნდა მივსულიყავი.

— რა იყო, მანანა, გაწყენინა ვინმემ?— დამიყუავა მან.

— არა, არ მაწყენინეს, მაგრამ... ახ ის წიგნი, გუშინ რომ...

— ჰო, ვიცი, გუშინ რომ დამიბრუნე

— დიახ, ის წიგნი.

— მერე რა მოხდა?

— ვერ გავიგე.

— აბა, რა ვერ გაიგე, მითხარი!— და თაროდან ისევ ის ლამაზუდიანი წიგნი გადმოიღო:— შენ როგორ გგონია, მე აქ რატომ ვარ? თუ ვერ გაიგე, მკითხე და ავიხსნი.

— არა, დეიდა, თითქმის ვერაფერი გავიგე.. სრულებით ვერ გავიგე..

ის ერთი წუთით დაეჭვებით მიცქეროდა, მერე გამიღიმა, სკამზე დამსვა და მითხრა:

— მოდი, აქ წაიკითხე, რასაც ვერ გაიგებ, მკითხე.

ამ ღროს მკითხველები შემოვიდნენ და დეიდა ქეთინო წიგნების გაცემას შეუდგა.

წავიკითხე პირველი გვერდი.

აქ ხომ ყველაფერი გასაგებია?! როგორ ვთქვა, ვერ მივხვდი-მეთქი? არა, მოდი, მეორე გვერდსაც წავიკითხავ, იქნებ იქ იყოს რაიმე გაუგებარი.

ჯიბრზე აქაც არაფერია გაუგებარი.

ვკითხულობ, ვკითხულობ... რა იქნება ვითომ, რომ ერთი სიტყვა მაინც შემხედეს ბუნდოვანი? თან ისეთი კარგი წიგნი იყო, რომ ვეღარ მოვცილდი.

— აბა, მითხარი, რა ვერ გაიგე?— მომიახლოვდა დეიდა ქეთინო, როცა უკანასკნელი ფურცელიც წავიკითხე.

— რა ვერ გავიგე?

— ჰო, რომელი ადგილია აქ შენთვის გაუგებარი?

— არა, არა, დეიდა ქეთინო, ყველაფერი გავიგე, კარგად გავიგე!

— ძალიან კარგი. ყოველთვის გაიგებ, თუკი... წაიკითხავ.

— დიახ!—მე თავი ჩავეკიდე,—იციო? დეიდა ქეთინო, ყოველთვის გავიგებ, ოღონდ გეხვეწებით, აი, ნანის და ოთარს-არაფერი უთხრათ. მე კი ყოველთვის გავიგებ... ძალიან კარგადაც გავიგებ!..



შოკეული საღამო

კრემლის ახლოს, ერთ ნაცნობთან
 სტუმრად ვიყავ ერთხელ,
 დამდებოდა, გავცქეროდი
 მონაწიარდ მერცხლებს;
 უცბად ზარმა იწკრიალა,
 ტელეფონის ზარმა;
 — გისმენთ! გისმენთ! — და კისკისით
 ვილაღ მომესალმა:
 — ძიავე, დილა მშვიდობისა,
 როგორა ხართ, ძიავე?!
 ტელეფონთან სთხოვეთ ერთი,
 თუ არ სძინავს მზიას...
 — ახლა დილა რომ არ არის,
 განა ეს არ იცი?
 ვინ ხარ-მეთქი! — და მან უფრო
 მოუმატა სიცილს...
 აჰა, მზიაც მოცქერიალდა,
 ჩააფრინდა ყურმილს,
 დრო იღვევა, ლაპარაკით
 ვერ იკლავენ წყურვილს.

უკვე მზიაც აკისკისდა,
 გაიბადრა წითლად,
 ცალი თვალთ მე მიცქერის, —
 და სულს ძლივსდა ითქვამს...
 დრომ თავისი გაიტანა,
 საუბარი შეწყდა, —
 და წითელი ყელსახვევით
 მზია გაჩნდა ჩემთან:
 — ძიავე, ძიავე, კარგო ძიავე,
 გეხვეწები ძლიერ,
 არ გეწყინოს არაფერი
 იმ გოგონას მიერ,
 მისი „დილა მშვიდობისა“
 სიმართლეა, ძიავე,
 აქ რომ მთვარე თვალებს ახელს,
 იქ კაშკაშა მზეა.
 ვლადივოსტოკს იმყოფება,
 განა სადმე ახლოს,
 რომ „სალამო მშვიდობისა“
 ეთქვა იმ ჩემს ნაცნობს!...





ჰატივან ულისაბაღაშვილი

ნახატები მ. თოთობაძისა

მხატვრები

ორშაბათს დათო ისევ პირველ მერხზე ნიკოს გვერდით იჯდა და ნატო მასწავლებელს თვალეზში შეჰყურებდა.

— ბავშვებო, დახატეთ, რა ნახეთ გუშინ, სად იყავით ან რა მოგეწონათ.— უთხრა მასწავლებელმა ბავშვებს მესამე გაცვეთილის დაწყებისთანავე და სახატავი რვეულები ამოაღებინა.

დათომ რვეული გადაშალა, ფერადი ფანქრებით საესე კოლოფიც წინ დაიდო და დაფიქრა.

აბა, როგორ დახატოს, რომ ბევრი, ძალიან ბევრი შექრის ქარხალი ნახა მამასთან გუშინ ქარხნის ეზოში. თანაც ის ქარხალი ისეთი არ იყო, დედა რომ კერძში ხმარობს. შექრის ქარხალი თეთრია და სახატავი რვეულის ფურცელიც ხომ თეთრია; შავი ფანქრით რომ შემოხაზოს, აბა, ვინ გამოიცნობს, ქარხალია თუ მსხალი?! ან როგორ დახატოს დათომ ქარხლის გემო!?

— უჰ, როგორი ტკბილია!— ამბობდა მაშინ დათო, როცა გაკბეჩილი ქარხალი ცემენტით ამოშენებულ წყლიან ღარში გადაისროლა.

ამ ღარში ქარხლით დატვირთულ ვაგონეტებსა და მანქანებს მუშები ნიჩბ-

ბით სკლიდნენ. დათოს გაკბეჩილი ქარხალიც წყლის ნაკადმა მოიტაცა, აიტყვივა და სხვებთან ერთად ქარხნისაკენ გააქანა.

— გაირეცხა ჩემი ქარხალიც, გაირეცხა!— გაიძახოდა მაშინ მოკბეჩილ ქარხალს აღევნებული დათო და ქარხნისაკენ გაცვანილი ღარის ნაპირზე მირბოდა.

— არა, ჩემო ბიჭო, აქ შემოსვლა არ შეიძლება!— უთხრა ბრეზენტის ხელთათმანებიანმა ძიამ და დათოს ქარხნის დიდ საამქროში შესასვლელი კარი ცხვირწინ მიუხურა.

დათომ იცოდა, რომ იქ შესვლა არ შეიძლებოდა. მამამ უთხრა, იქ დიდი მანქანები დგასო. აბა, ვინ აჩვენებს დათოს, როგორ კეპავს შექრის ქარხალს მანქანა, მერე ტკბილ წვეს როგორ გამოსწურავს.

ქარხლის ბადაგი ვეება ქვაბში მანამდე დუღს, ვიდრე ისეთი შექრის ფხენილი არ გაკეთდება, როგორსაც დათო ჩაიში ჰყრის ხოლმე. რამდენიმეჯერ გაიწმინდება, გაშრება და გაფხვიერდება. საამქროში შესასვლელ მაღალ კართან გაჩერებული დათო ერთ ხანს გაუნძრევლად იდგა და მანქანების გუგუნს ყურს უგდებდა. მისგან მოშორებით რკინის

წერილ მიღში ქმენა-ქმენით მომსხურდა თეთრი ორთქლი; დროდადრო დათოს ხელებსა და დაბრაწულ ლოყებზე გაგრილებული ორთქლის შხეფები ესხურებოდა.

როგორ დავხატო?!—კვლავ გაიფიქრა დათომ და ნიკოს რვეულში გადაიხედა. ნიკოს ფურცელზე ორი წრე დავხატა. გარეთა წრეზე ჩიტის ბარტყებივით ხელგაპარკული ბიკები დაესკუებინა. შიგნით წრეში ოჩაფეხაზე შემდგარი წითელცხვირა მასხარა იდგა. მასხარას დიდი წაღები ეცვა, ორივე ხელი ჩაჩაჩული შარვლის ჯიბეებში ჩაეყო და გაღებულ პირიდან ფერად-ფერადი ბუშტები გადმოსდიოდა.

ეს ფერადი ბუშტები მოფანტული იყო ნახატზე. ნიკო ხმარობდა ყველა ფერადს: წითელს, ყვითელს, მწვანეს, ლურჯს და იისფერს. დათოს მოეწონა ნიკოს ნახატი, მაგრამ სრულებითაც არ დასწყდა გული, რომ გუშინ დედამ ისიც ცირკში არ წაიყვანა. დათო რომ გუშინ ცირკში ყოფილიყო, დახატავდა ბურთის მოთა-

მაშე ზღვის ღოძს ახ კაპწია კობდუქტორს, რომელიც ვაგონის კარიდან გამოსულ თეთრწინსაფრიან მაიმუნებს ბილეთებს უსინჯავდა.


სახეგაბრწყინებული დათო ერთ ხანს ღიმილით დაჰყურებდა ნიკოს ნახატს, მერე ფანქარი აიღო და გულმოდგინედ დაიწყო ხატვა.

კარგა ხანს ხატავდა დათო. ზოგმა ბავშვმა დაამთავრა ხატვა და ხმაური დაიწყო. ნატო მასწავლებელმა მათ შენიშვნა მისცა, ნახატი გაუსინჯა, მერე დათოს მერხთან მივიდა და ღიმილით დააცქერდა რვეულს.

ფურცლის შუაგულში დათოს მრავალფანჯრიანი გრძელი შენობა დავხატა. სახურავზე მაღალი მილი გაეკეთებინა და იქიდან შავი ბოლი ამოდიოდა. ქარხნის ეზოში ერთფანჯრიანი პატარა სახლი იდგა. „მამას სახლი“—ეწერა ნახატს.

— აბა, მითხარი, რა დავხატე, დათო?— ჰკითხა ნატო მასწავლებელმა.

— ეს შაქრის ქარხანაა, მამა აქ მუშაობს. მე და დედა გუშინ აქ ვიყავით.



ნახატები პლ. ბენქელაძისა



თხუპნია

3. სმირნოვი


ლამის ქუქუკმა შეუქამოს
ცხვირი,
პირი,
ხელი,—
ეჯავრება ვანოს წყალი,
ცივიცა და ცხელიც.
კლასში ერთხმად
განაცხადეს,
ვანო სდუმდა ერთი:
— არ დავსხდებით მერხზე,
არა,
ამ თხუპნიას გვერდით.

პირს არ იბანს, აბა, მასზე
ვინ არ იყოს მწყურალი!..
გაიგონე, ბიჭო ვანო,
შეიყვარე წყალი.
თავი ძირს რომ დაგიხრია,
აბა, რისთვის ტირი,
დაიბანე ხელიც, პირიც
სალამოს და დლით.
თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა



ირინე

გიორგი ლეჟავა



ყველას ხიბლავს ოჯახში
ჩვენი კოხტა ირინე,
თეთრ ტილოზე აქარგავს
იებსა და გვირილებს.
განა ქარგვა? ჭრა-კერვაც
ეხერხება ძალიან,
იცის ყველა ხელსაქმე,
თუმც პატარა ქალია.
ზის და კაბას უკერავს
ცელქ თოჯინას აღერსით.

ფრთხილად ხმარობს
მაკრატელს,
ახალთახალს, აღესილოს.
ხან დაიწვენს თოჯინას
და ხან წამოაყენებს,
ხან აზომებს საყელოს,
ხან სახელოს აკერებს.
ეხერხება ხელსაქმე
ჩვენს ირინეს ძალიან,
მას ქუჩებში სარბენად
სწორედ აღარ სცალია!





მტირალა



ბ. ბარლაქიძე

ნახ. გ. შოხნიველიძე

ზ ღ ა ვ ა რ ი

იყო ერთი მტირალა ბიჭი, ლამაზი, ლოყებლადედა. ვინმე რომ მიეფერებოდა, ლოყაზე ხელს მოუთათუნებდა, ან თმებს აუქორჩავდა, ის აღრიალდებოდა: მიშველეთ, მკლავენო. შინაურებიც ხომ გაბეზრებული ჰყავდა მტირალას. ეზოს ძალი თუ შეუყვება, მტირალა აყვირდებოდა: — მიშველეთ, მურია შექმას მიპირებსო, და აცრემლდებოდა. გამოვარდებოდნენ მშობლები, საბრალო მურიას დატუქსავდნენ, კარგად მიბეგვავდნენ და ჯაჭვით დაბამდნენ.

ქიშკართან მდგარი ბებერი მუხა ტოტებს დახრიდა, გულ კეთილად შეეხებოდა ბიჭს ოქროსფერ ქოჩორზე. მტირალა ისევ აღრიალდებოდა: მიშველეთ, მუხას ჩემთვის თავის გატეხა უნდოდაო. მივარდებოდა კეთილ მუხას, ტოტებს

მომამტვრევდა, მუშტებს დაუშენდა და ხელი რომ ეტკინებოდა, უარესად ატირდებოდა.

ეზოზე არწივი გადაიქროლებდა, თვალს მოჰკრავდა ლამაზ ბიჭს და ძირს დაეშვებოდა, — კარგად დავინახოო. მტირალა ისევ აღრიალდებოდა: მიშველეთ, არწივს ჩემი მოტაცება უნდაო.

მშვილდ-ისარს გამოიტანდა და უდანაშაულო არწივს ესროდა.

ერთხელ მტირალამ სანადიროდ წასვლა გადაწყვიტა. აიღო მშვილდ-ისარი და გზას გაუდგა. ცოტა იარა თუ ბევრი, ერთ უღრან ტყეს მიადგა. გაუვალი მუხნარი იყო და მტირალას კარგი ნადირობა მოელოდა. მოდი, — იფიქრა მტირალამ, — სანამ ნადირობას დავიწყებდემ, მშვილდ-ისარს გამოვცდი, კარგად ისვრის თუ არაო. მუხას დაუმიზნა და ისარი შიგვულში მოარტყა. მუხამ მრისხანედ შეარხია ტოტები და მტირალას უსაყვედურა:

— შენ არ იყავი, ჩემ ძმას მუხას ტოტები რამ მოამტვრეე?! ახლა მოსულხარ და ისარს მესვრი, გგონია, არ მეტკინება? ჩვენც ვიცი თუ ტირილი, აბა, ძმებო, ვიტყვიოთ! — გადასძახა თავის ძმებს მუხებს, წიფლებს, არყებს. ატირდა მუხა და ატირდა იმოდენა ტყვეც. აგორდა ცრემ-



5599



შეეცოდა არწივს და გადმოსძახა:

— ჰაი, შე მტირალა, მტირალა,
იტირებ მეორედ თუ არა?

ალარ ვიტირებო.—უპასუხა ბიჭმა. არწი-
ვი დაბლა დაეშვა და მტირალა მტრებზე
შეისვა. პირდაპირ თავისი სახლის ბანზე
ჩამოსვლა, გამოემშვიდობა და გასწია. ზის
მტირალა ბანზე და უცდის, როდის გამო-
ვა გარეთ მამამისი, რომ ძირს ჩამოიყუა-
ნოს. ბოლოს ეხოში ძალი დანახა და
შეევედრა:

— მურია, მურია, შენსა ლხენასა,
ყფუ ასტეხე, გაფიცებ დელასა!

შეეცოდა მურიას და ამოსძახა:

— ჰაი, შე მტირალა, მტირალა,
იტირებ მეორედ
თუ არა?

ლი, აგორდა და დიდ მდინარედ გადაიქ-
ცა. გაიტაცა მტირალა. იხრჩობა მტირა-
ლა, ხედავს, რომ იღუპება, საშველი
არსაიდან არის. რა
ჰქნას, არ იცის. ნაპირ-
თან ახალგაზრდა მუხა
დინახა და შეევედრა:

— მუხავ, მუხავ,
შენსა ლხენასა,
გადამარჩინე,
გაფიცებ დელასა!



ალარ ვიტირებო.—
ჩამოსძახა ბიჭმა. მუ-
რიამ ყფა ატეხა. სახ-
ლიდან ბიჭის მშობლე-
ბი გამოვიდნენ, დაი-
ნახეს მტირალა და ძა-
ლიან გაუხარდათ. მა-
მა ბანზე ავიდა და მტი-
რალა ძირს ჩამოიყვანა.

მტირალამ გაიცინა და მას შემდეგ
ალარც უტირია.

შეეცოდა მუხას და
გადმოსძახა:

— ჰაი, შე მტირალა, მტირალა,
იტირებ მეორედ თუ არა?

ალარ ვიტირებო.—უპასუხა ბიჭმა. მუ-
ხამ ტოტები გადმოხარა, მიუღღერსა;
ბიჭმა ტოტებს ხელი მოსჭიდა, მუხა გაი-
მართა და ჩვენი მტირალა აიტაცა.

ზის ბიჭი მუხაზე და სახლში წასვლა
უნდა. მაგრამ როგორ წავიდეს, იქაურო-
ბა წყალს მიაქვს. უცბად არწივმა გად-
მოიჭროლა. შეევედრა არწივს მტირალა:

არწივო, არწივო, შენსა ლხენასა,
სახლში წამიყვა, გაფიცებ დელასა!





პაპაია ბებემოჭი

მოსკოვის ზოოპარკში პირველად ფრინველთა სამეფო გვაჩვენეს. შემდეგ ვესტუმრეთ სპილოებსა და ბეგემოტებს.

თვალი ვერ მოვაშორე პატარა ბეგემოტს, რომელსაც სახელად „იუნოშას“ ეძახდნენ. იგი დედის ზურგზე არხეინად იწვა და ჩვენი მისვლა არც კი გაუგია.

მაშინ „იუნოშა“ სულ ათი დღისა იყო. დედამის „გრეტას“ ეძახდნენ, ხოლო მამას — „პეტერს“. ბეგემოტები ტყვეობაში იშვიათად მრავლდებიან, მაგრამ მოსკოვის ზოოპარკში თავს ისე გრძნობენ, როგორც ზღვაში, და უკვე მესუთეჯერ გააჩინეს პატარა ბეგემოტები.

პატარა ბეგემოტი აუზში დაიბადა. პირველ ხუთ დღე-ღამეში დედამისი „გრეტა“ სულ არ გამოსულა ნაპირზე. ბეგემოტს შეუძლია წყლის ქვეშ 25—30 წუთს იყოს. ამიტომ „გრეტა“ დროდა-დრო წყლის ზედაპირზე ამოვადებდა ხოლმე „იუნოშას“, რომ ჰაერი ჩაესუნთქა, და ისევ წყალში ჩაეშვებოდა. „გრეტა“ თავის შვილს აუზის ფსკერზე აწოვებდა ძუძუს. პატარა ბეგემოტი ძილის დროს წყლის ზედაპირზე დედის თავზე ან ზურგზე იწვა, რათა ჰაერი ესუნთქა.

„იუნოშას“ აწონა შესაძლებელი ვახ-და დაბადებიდან მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, რადგან „გრეტა“ 5 დღის განმავლობაში ახლოს არავის იკარებდა. ახალშობილი ოცდათხუთმეტ კილოგრამს იწონიდა.

პატარა ბეგემოტმა დაბადებიდანვე შეს-ცურა წყალში და ჩაიყურყუმელავა. მაგრამ მიწაზე სიარული კი გაუჭირდა: ექვ-სი დღის შემდეგ „გრეტამ“ შვილი ნაპირზე რომ გამოიყვანა, „იუნოშას“ ფეხები უცახცახებდა და მალიმალ ეცემოდა.



„გრეტა“ და მისი შვილი დღე-ღამეში სამჯერ ამოდიოდნენ აუზიდან და მათთვის განკუთვნილ ოცკილოგრამიან სა-დილოს, საუზმეს და ვახშამს შეექცეოდნენ.

პატარა ბეგემოტი მთელი საათობით დედის ზურგზე იწვა და ეძინა. როგორც კი გაიღვიძებდა, წყალში ჩავარდებოდა და ააშხაპუნებდა. მაშინ განსაკუთრებით ბრაზდებოდა მისი მამა „პეტერი“, რომელიც თავისი ოჯახისაგან დროებით მოშორებული იყო და რკინის ბადის იქით იმყოფებოდა.

„პეტერი“ მარტოობაში მოწყვნილი იყო, არ ჰამდა, გალიაში ბორგავდა და უთავბოლოდ დადიოდა. მხოლოდ ხან-დან ხან შეჩერდებოდა და ყურს დაუგდებდა, თუ რას აკეთებდა „გრეტა“ და მისი შვილი პატარა ბეგემოტი „იუნოშა“. დროდადრო ისმოდა „პეტერის“ დაბალი, გულის გამაწვრილებელი ხმა, რომელსაც მაშინვე გამოეხმაურებოდა „გრეტა“.

პატარა ბეგემოტი მალე წამოიზრ-დებოდა და დედის მზრუნველობა აღარ დასჭირდებოდა. ისიც ცალკე გალიაში იქ-ნება მოთავსებული და პატარა მნახვე-ლებს თანდათან მიეჩვენება.

ამოხანები

ციცუნები

ციცუნია დიდ სარკესთან მივიდა და დასუნა; შიგ სხვა ფისო დაინახა, თათი მოუცაყუნა.

რომ გაეგო—მართლა იქით ფისო არის თუ არა, ციცუნია მფეხაკრეფით სარკეს შეჰმოუარა.



იქ ნახა, რომ ორი ფისო ჭიდაობით გართულა; ჭრელებია ვეფხვებივით, ჭიდაობენ „ქართულად“.

ორი ფისო იქით იყო, ორიც ჩანდა აქეთა; გამოიცან: სულ რამდენი ფისო იყო სარკესთან!



თინას ქუჩი

თინას დაბუა დედალი დღეში თითო კვერცხს უდებდა. თინიკო ფრთხილად კალათში აწყობდა, თივას უგებდა.

ათი დღის შემდეგ თინიკომ კალათში კვერცხი დათვალა;



სულ ექვსი ცალი აღმოჩნდა,— დაღონდა გოგო შევთვალა.

კვერცხებს სულ ვირთხა უქამდა, და თინას ქურდიც ის არის, რამდენი შეუქამია, აბა, ეს გამოიცანი?!

ლ. კეკელიძე

ყდის მხატვრობა ცკუთენის ალ. ვეფხვაძეს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მავუკლა მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგანი, ი. სხარულაძე, ნ. უნაფიშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) გამოცემის ოცდამეგრე წელი ფასი 2 მან.

Д. И. Л. — ежемесячный детский журнал ЦК ВКСМ Грузии № 5, май 1955 г. Тбилиси. Ленин 14
საბლიტბამში, რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 3 სართ. ბუდ. № 4-7-88. გამოცემა, შეჯ. № 180; სტამბის შეჯ. № 4-9/780.
ბიოკო. 16.000. უკ 00000 ცელფოფურირლია დასაბამად 20/IV 55 წ. ბავჭი ანუილია პოლიგრაფიკომბინატ კაპოწინისის
სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ოსტეტის სისტემის მანქანაზე ხარბია უოსტკას სტამბაში.